



მოყვარულნი

ქართული სკაპრაზული ფოლკლორის ნიმუშები

შეადგინა
ვახუშტი კოტეტიშვილმა

დილოგენე

მოუკრეფავნი

ქართული საბავშვო ფოლკლორის ნიმუშები

შემდგენელი

ვასუშტი კოტიშვილი

კრებულში შესულია **თედო სასოკიას** მიერ
შეგროვებული ანდაზები და სიტყვა-თქმანი

დიზაინი

გუგა კოტიშვილი

ბასო დანელია

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2005, 2019
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-576-9

www.diogene.ge

ჩინათქმს

შოთა რუსთველისეულ პოეტიკურ კლასიფიკაციაში სალალობო პოეზიის ჟანრს სათანადო და, მე ვიტყვოდი, ღირსეული ადგილი აქვს მიჩენილი. იგი ბრძანებს:

„მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ,
 სამღერელად,
 სააშუკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად,
 ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან
 ნათელად.“

ეს იმას ნიშნავს, რომ იმდროინდელ საქართველოში უკვე სავსებით იყო ჩამოყალიბებული ეს ჟანრი და მას მოპოვებული ჰქონდა არსებობის კანონიერი უფლება.

მაინც რა უნდა ყოფილიყო ის უმთავრესი ნიშანი, რომელიც ამ ჟანრის ლექსებს გააერთიანებდა?

პასუხი ერთადერთია – იუმორი. ხშირად მსუბუქი და დახვეწილი, ზოგჯერ აშკარა თუ შეფარული, ხანდახან კი – ტლანქი და ჯიქური, კეთილ-

ზნეობრიობის სამოსშემოძარცვეული და უტიფრად შიშველი. მაგრამ ერთი პირობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული – სიტყვიერი ოსტატობა. ეს იყო ყოველგვარი უხერხულობის დამძლველი, მპატიებელი და პოეტურ პაექრობაში უცილობელი გამარჯვების გარანტი. ასეთ პოეტურ შეჯიბრს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი ერქვა: ლექსობა თუ გალექსება, შაირობა თუ შამღერნება, კაფიობა თუ სხვა რამ ამგვარი...

საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ პაექრობებში არავითარი ტაბუ არ არსებობდა. ჩვეულებრივ, ქართველი კაცი თავისი ოჯახის მანდილოსანთა (დედის, დისა თუ მეუღლის) აუგად ხსენებას არავის აპატიებდა და, შესაძლოა, სისხლიც კი დაღვრილიყო, მაგრამ ლექსობისას წყენა და განრისხება მოპაექრის სისუსტედ და დამარცხებად ითვლებოდა. თუ კარგი მელექსე იყავ, ლექსადვე უნდა გეპასუხა, კაფიით უნდა გეკაფა და არა ხანჯლით, თუმც კაფიასა და კაფვას შორის მხოლოდ კალამბურული კავშირი არსებობს. სიტყვა „კაფია“-მ არაბულ-სპარსულიდან შემოაღწია. იქ კი იგი მხოლოდ რითმის აღმნიშვნელია და არა პოეტური პაექრობისა.

საკითხავია, მხოლოდ იუმორი იყო მიზეზი და საფუძველი ამ ტიპის ლექსების შექმნისა, თუ სხვა ფაქტორებიც განაპირობებდა მათ წარმოშობას?!

თუ გადავხედავთ წარმართობის ხანის არქეოლოგიურ მასალას, ე. წ. ითიფალურ ფიგურებს, საკულტო დანიშნულების საგნებს, ფალოსისა თუ ვაგინის უტრირებულ გამოსახულებებს, ჩვენს თვალწინ გადაიშლება უმრავალფეროვნესი გამა მაგიური ეროტიკისა, რაც შეუძლებელია,

უკვალოდ გამქრალიყო საზოგადოებაში. ქრისტიანული ზნეობრიობის საყოველთაო გამარჯვების შემდგომ წარმართული ეროტიკა კარგავს თავის რელიგიურსა თუ მაგიურ დატვირთვას და არსებობას განაგრძობს სახეცვლილი, მსუბუქი იუმორის სახით.

არც ამ წინასიტყვაობას და არც ამ პატარა კრებულს მეცნიერული სისრულის პრეტენზია არ გააჩნია. ამიტომ ამ საკითხთა გენეზისის კვლევა სხვა დროისათვის გადავდოთ. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ამდაგვარი ტექსტების გამოცემა სხვა ქვეყნებისთვის არასოდეს უცხო არ ყოფილა, თვით ისეთი პრესტიჟული სამეცნიერო ცენტრისთვისაც კი, როგორსაც ოქსფორდის უნივერსიტეტი წარმოადგენს, რომელსაც არათუ სკაბრეზული ხელოვნების ნიმუშები, არამედ რუსული გინებების ლექსიკონიც კი აქვს გამოცემული. მხოლოდ საბჭოური აზროვნებისათვის იყო დამახასიათებელი ყოველივე არსებულის ლაქით მოპრიალება და სინამდვილის მიჩქმალვა-მიჩუმება.

ამით იმის თქმა კი არ გვსურს, რომ ამგვარი ტექსტები სახელმძღვანელოებში შევიტანოთ და საზეპიროებად ვუქციოთ ჩვენს მომავალ თაობას, მაგრამ იმის გონივრული ცოდნა კი აუცილებელია, რაც ეროვნული ცნობიერების წიაღში დღესაც ცოცხალია და ქმედითი.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი მასალა ჩემ მიერ ძირითადად მაშინ არის შეკრებილი, როდესაც ფოლკლორისტული საქმიანობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ჩემს სისხლხორცეულ ინტერესს. მათი უმრავლესობა ხატობა-დღეობებსა თუ სალალობო სუფრებზეა მოსმენილი და

ნაუცბათევად ხელსახოცებზე ჩანერილი ან ზეპირად დამახსოვრებული. მათი ნაწილი კი მომანოდეს ჩემმა კოლეგებმა და მეგობრებმა: ალექსი ჭინჭარაულმა და გიორგი ცოცანიძემ, ზეზვა მედულაშვილმა და გიგი ხორნაულმა, შოთა ხოდაშნელმა და ბაბუა ალუდაურმა, მიხეილ ნაყეურმა და ტრისტან მახაურმა, იოსებ ჯღუთაშვილმა და სხვებმა, რისთვისაც ყველას უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ენათმეცნიერ შუქია აფრიდონიძის მიმართ, რომელმაც გადმომცა თავისი გამოჩენილი პაპის, ცნობილი ქართველი მოღვაწის ბ-ნ თედო სახოკიას მასალები, რომელიც მას გამოსაცემად ჰქონია გამზადებული, მაგრამ კომუნისტურ ხანაში ამ წამოწყებას, როგორც მოგახსენეთ, განხორციელება არ ეწერა. კრებულს სახელად შევურჩიეთ „მოუკრეფავნი“, რომელიც ბ-ნ თედო სახოკიას ერთ-ერთ ვარიანტად ჰქონდა წარმოდგენილი.

ქართული ზნეობრიობის მეტისმეტ დამცველებს კი დიდი ვაჟას სიტყვებით მივმართავ: „ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ მთიდან ყვირილი ხარისა.“

ვახუშტი კოტეტიშვილი

წაწლობა¹

ბატარა დავნევ ქალთანა,
გავხსენ ღილიან საყელო,
იმან ხელეზი შამტაცა:
– რას შვრეზი, ძაღლის ნაშენო!
ხელეზს ძუძუზე რად მბლუჯავ,
აგრემც შავნ მინან დაგფქვენო!
ვიცი კაცების ამბავი,
ძუძუდან ნახვალ თავქვენო.
ინექ და არ გასჩუჩუნდე,
ალარ გამიხსნა საყელო!
– ნეტა აღარას მიშველსა,
ლაშა-გიორგი ვახსენო?
– რო თავის ფეხით მობრძანდეს,
მე არაი მაქვ საშენო!
ავდექ, გამოვწყერ მენაცა:
– რა მაქვის შენტან საფერო?!
„ნუხელის ვინევ ქალთანა!“ –
სუ ქვეყანაზე გაგფენო.
ჩოხის კალთაზე გამეზა:
– სად მიხვალ, მიწის დამყრელო?!
ავდექ და მენაც ჩავუნექ,
საკინძის ღილეზ დავხსენო.

(ფშავი. წაწლობევი)

¹ წაწლობა – (ფშავში) ქალ-ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობა (მშობლების ნებართვით), როდესაც ნებადართული იყო მხოლოდ წელს ზევით შეხება, ალერსი. წაწალი – ქალი ან ვაჟი; მათ შორის ქორწინება სასტიკად იყო აკრძალული (ამას ხევსურეთში სწორფრობა, სწორფერი, ხოლო ხევში ძმობილი, დობილი ეწოდებოდა).

* * *

ქალას შავთხოვე, არ მამცა,
რუსულად მითხრა: ნიატო!
მინითამც ამოგევსების,
ჩემდ ძვირო, სხვისთვის იაფო!

(ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილი ფშავში)

* * *

ნინონმინდელი ქალები
სანაძლოზე ფსამენო,
გძელოზე უდევთ ღარები,
პატარძელსა რწყამენო,
იქ მოყვანილსა მწვანილსა
ქალაქელები სჭამენო.

(კოორკო ლონოსოსგან მომხიცი)

* * *

ჭიჭიკაანთ ქორწილი ქნეს,
ხარი დაკლეს, ბელეშაო²,
პატარძალი მაიყვანეს,
ტრაკი უგავ ღელესაო,
შიგა ხნამენ, შიგა თესვენ,
შიგ ალბობენ წნელებსაო,
გუთნისდედა ჩაუყლაპავს,
მეხრე იქნევს ხელებსაო.

(როზო ინანიშვილისგან გაგონილი)

² ბელეშა – ხარის სახელი.